თემა: აჭარა (20 საათი)

ძირითადი სასწავლო რესურსები - „მოგზაურობა აჭარაში“ (სახელმძღვანელოდან „მოგზაურობა საქართველოში“)

მთიანი აჭარა (რეპორტაჟი) https://www.youtube.com/watch?v=HsmO1ekCl_Y

ერთი დღე ღორჯომში https://www.youtube.com/watch?v=0CXTTbMrVKg

გრძელვადიანი მიზანი: ქვემოთ მოცემული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების არსობრივი მახასიათებლები გააზრება		**მოკლევადიანი მიზანი:** ტექსტის საფუძველზე შემდეგი საკითხების შინაარსის გააზრება.
სამიზნე ცნება	**სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები**	**საკითხები, რომლებიც გამოიყენება სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებზე გასააზრებლად**
სივრცე (შედეგი 1)	გეოგრაფიული ობიექტი (მთა, ქედი)	**მთიანი აჭარა** (ბეშუმი, ღორჯომის ხეობა, მახუნცეთის ჩანჩქერი, თაგო)
	გეოგრაფიული / სტიქიური მოვლენა	
	დასახლებული პუნქტი	
	საკურორტო-რეკრეაციული ზონა	
	დაცული ტერიტორია	
მეურნეობა (შედეგები 2, 3, 4)	სოფლის მეურნეობის დარგი (მესაქონლეობა)	**მესაქონლეობა აჭარაში (მემთეურები)**
	ხელოსნობისა და შინამრეწველობის დარგი	
	ტურიზმი	
	მრეწველობა	
დრო (შედეგები 3, 5)	ისტორიული პერიოდიზაცია (ისტორიის დაყოფა მოწინავე იმპერიების მიხ.) (ისტორიის დაყოფა მეფეების მიხედვით)	**გონიოს ციხე და მისი განვითარება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში** (ბერძნების, რომაელების, გენუელების, ოსმალების, რუსების პერიოდი) **თაღოვანი ხიდი** (თამარის ეპოქა)
	ისტორიული ეპიზოდი	
	ზეპირი ტრადიცია	
მრავალფეროვნება (შედეგი 4)	მატერიალური კულტურა (საზოგადოებრივი ნაგებობა) (კვების ტრადიციული სისტემა)	**ბათუმის ბულვარი** (მაგნოლიების ხეივანი და სხვა) **აჭარული სახლი** **აჭარული ხაჭაპური, სინორია**
	სულიერი კულტურა (ქორეოგრაფია)	ხორუმი
	წერილობითი კულტურა (დამწერლობა)	ანბანის კოშკი
	პროფესიული კულტურა	
	საზოგადოებრივი ყოფა	
საზოგადოება (შედეგი 5,)	საზოგადო მოღვაწე	
	ტრადიცია	
	ღირებულებები (მრავალფეროვნება)	**ალი და ნინო** (რელიგიური მრავალფეროვნება)
სახელმწიფო (შედეგები 5, 6)	სახელმწიფოს ფუნქციონირება (მოწყობა)	**ავტონომიური რესპუბლიკა** (აჭარა)
	ადამიანის ფუნდამენტურ უფლებები	**დელფინარიუმი** (წამების აკრძალვა დელფინარიუმის მაგალითზე)
	სოციალური პრობლემები	

სკოლის მისია - მოსწავლის პიროვნული (ემოციურ-სოციალურ-კოგნიტურ-ფიზიკური) განვითარება

კომპლექსური დავალება

ბათუმის **ბულვარი კულტურული მემკვიდრეობის** ძეგლია. აქ წარმოდგენილია კომპოზიციები, რომლებიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისთვის **„სავიზიტო ბარათს“** წარმოადგენს. წარმოიდგინეთ რომ ხართ არქიტექტორი, რომელსაც ბულვარის განვრცობა/შემდგომი განვითარება ევალება.

შექმენი მაკეტი, რომელშიც ახალი ელემენტებით გაამდიდრებ ბათუმის ბულვარში უკვე არსებულ ძეგლებს ***(ანბანის კოშკს, ალისა და ნინოს ქანდაკებას, რვაფეხას)*** და ამავდროულად შექმნი ახალ კომპოზიციებს - ***გონიოს ციხესთან, მთიან აჭარასთან, დელფინარიუმთან, აჭარულ კერძებთან, ფოკლორულ ტრადიციებთან (ხორუმი)*** დაკავშირებით.

ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რამდენად და რატომ განსხვავდება აჭარის ბუნება და ლანდშაფტები საქართველოს სხვა მხარეებისგან? **(სამიზნე ცნება - სივრცე)**
- რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული პირობები (ზღვასთან სიახლოვე, მთიანი ლანდშაფტი) აჭარის მოსახლეობის ყოფაზე და რეგიონის განვითარებაზე? **(სამიზნე ცნება - მეურნეობა)**
- რამდენად, რით და რატომ განსხვავდება აჭარის ყოფითი ტრადიციები საქართველოს სხვა მხარეებისგან? **(სამიზნე ცნება - საზოგადოება, დრო, მრავალფეროვანება)**
- როგორ ზრუნავს სახელმწიფო რეგიონის განვითარებაზე/რეგიონში არსებული პრობლემების გადაჭრაზე? **(სამიზნე ცნება - სახელმწიფო)**

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა გრძელდება დაახლოებით 20 გაკვეთილის განმავლობაში. მან უნდა უზრუნველყოს ერთი მხრივ **სამიზნე ცოდნის კონსტრუირება,** მეორე მხრივ კი - მოსწავლის **ენობრივი კომპეტენციების** განვითარება. საამისოდ საჭირო იქნება:

- ❖ განხორციელდეს ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომლებიც მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმარება;
- ❖ განხორციელდეს ენობრივი აქტივობები **(დანართი (ენობრივი აქტივობები)),** რათა მოსწავლემ ქართულ ენაზე შეძლოს კომპლექსური დავალების პრეზენტაცია.

საჭირო იქნება, ასევე, მაორგანიზებელი სქემების გამოყენება **(დანართი 4),** რომლებიც მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის მთელი პროცესის განმავლობაში ექნებათ თვალწინ.

ეტაპი 1 კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

ამ ეტაპზე მოსწავლეები ეცნობიან კომპლექსური დავალების პირობას. თანხმდებიან მასწავლებელთან, თუ როდის და რა ფორმით წარმოადგენენ დავალებას; ვინ, რაში და როგორ უნდა დაეხმაროს მათ კომპლექსური დავალების შესრულებაში.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს საქართველოს რუკაზე იპოვონ:

- ის მხარე, სადაც თავად ცხოვრობენ;
- იმერეთი, ანუ მხარე, რომლის შესახებაც უკვე შეასრულეს კომპლექსური დავალება;
- აჭარა, ანუ მხარე, რომელის შესახებაც მომდევნო 20 გაკვეთლის განმავლობაში იმუშავებენ.

გააცნობს კომპლექსური დავალების პირობას **(იხ. გვ. 2),** რის შემდეგაც ახორციელებს <u>რამდენიმე აქტივობას</u> **(აქტივობა 1,2,3,4)** დავალების არსის (სიტყვების - ბულვარი, ბათუმი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, მაკეტი) გააზრებაში მოსწავლეების დასახმარებლად.

აქტივობა 1. რა არის ბულვარი?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ რა ტიპის დასასვენებელი ადგილები არსებობს იმ სოფელში/დაბაში/ქალაქი, სადაც თავად ცხოვრობენ. სთხოვს აღწერონ ეს სივრცე და შეადარონ მათთვის ცნობილ სხვა მსგავს ადგილებს სხვა ქალაქში/დასახლებებში.

აქტივობის შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფოტოკოლაჟს ბათუმის ბულვართან დაკავშირებით: https://mbg.ge/ka/region/17 სთხოვს ბულვარი შეადარონ მათთვის ცნობილ სხვა დასასვენებელ ადგილებს და ცხრილში ჩაინიშნონ რა მოეჩვენათ განსაკუთებულად საინტერესოდ:

მომეწონა	მსგავსი რა უკვე მინახავს	რა არის ვერ გავიგე
1.		
2.		
3.		

აქტივობა 2. ბათუმის, როგორც საზღვაო ქალაქის თავისებურებები?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გამოთქვან ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, თუ რით არის განსხვავებული საზღვაო ქალაქში ცხოვრება. შემდეგ კი აძლევს დავალებას უყურონ ვიდეორგოლს https://www.youtube.com/watch?v=B9a7bcjfXks (1.28 წუთამდე) და ჩამოთვალონ არგუმენტები რის გამოც ლინდას და ვაჟას ბათუმში ცხოვრება მოსწონთ, ან არ მოსწონთ:

არგუმენტი 1.	
არგუმენტი 2.	
არგუმენტი 3.	
კონტრარგუმენტი	

აქტივობა 3. რას ვუწოდებთ „კულტურილი მემკვიდრეობის ძეგლს“?

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ ბათუმის ბულვარი, თავისი ისტორიული მნიშვნელობის გამო, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად“ არის გამოცხადებული. სთხოვს გამოთქვან ვარაუდები იმასთან დაკავშირებით, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს ეს ტერმინი - „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი“.

მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ პირველ თემაზე - „იმერეთი“ მუშაობისას რას უწოდეს „სავიზიტო ბარათი“, შემდეგ კი ეს სიტყვა შეადარონ ტერმინს „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი“

სავიზიტო ბარათი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი

შედარებისას მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ ორ საკითხთან:

- თქვენს მშობლიურ მხარეში/ქალაქში/სოფელში რას შეიძლება ეწოდოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი?
- თქვენს ქალაქში/მხარეში ვინმემ რომ ბათუმის ბულვარის ტიპის ხეივნის გაშენება დაგავალოთ რას განათავსებით ამ ადგილას?
- ვისთვის და რატომ შეიძლება იყოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი „სავიზიტო ბარათი“?

აქტივობა 4. მაკეტი და რუკა

პირველი სამი აქტივობის შეჯამებისთვის პედაგოგი სთხოვს მოსწავლეებს შემდეგ შეკითხვებზე კონცენტირებას:

- რა ფორმით წარმოადგენდით თქვენს ნააზრევს, რათა ის სხვებისთვისაც გასაგები ყოფილიყო?

სთავაზობს არჩევანს მაკეტსა და რუკას შორის:

მაკეტი **რუკა**

სთხოვს ერთმანეთს შეადაროს - რა მსგავსება-განსხვავებებია მაკეტსა და რუკას შორის. მსჯელობისას ყურადღებას ამახვილებს შემდეგ შეკითხვებზე:

- რა მიზნით ქმნის ადამიანი რუკას? რა მიზნით ქმნის მაკეტს?
- რომელი მათგანის შექმნა უფრო იოლია? რა არის საჭირო მაკეტის შესაქმნელად? რუკის შესაქმნელად?
- თქვენს მშობლიური ქალაქში/მხარეში, ხეივანის გაშენებას რომ აპირებდნენ, სადაც ადგილობრივი ღირსშესანიშნაობები იქნებოდა წარმოდგენილი - რუკის, თუ მაკეტის სახით ისურვებდით ამ პროექტის ნახვას.

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პირველი ეტაპის შეჯამების სახით მასწავლებელი მოსწავლეებს:

- ეკითხება რამდენად გასაგებია მათთვის კომპლექსური დავალების პირობა;
- აძლევს ტექსტს აჭარასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც მათ კომპლექსური დავალება უნდა შეასრულონ;
- შეახსენებს რომ მომდევნო დაახლოებით 20 გაკვეთილის განმავლობაში ისინი მოცემული ტექსტის გააზრებაზე და კომპლექსური დავალების შესრულებაზე იქნებიან კონცენტრირებული;
- შეახსენებს იმასაც, რომ შესრულებული კომპლექსური დავალება უკლებლივ ყველა მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს;
- სთხოვს გაიხსენონ რა კომპლექსური დავალება შეასრულეს პირველ თემაზე „იმერეთი“ მუშაობისას. სთხოვს გააანალიზონ - რა გამოუვიდათ კარგად? რა დაბრკოლებებს წააწყდნენ?

ბოლოს კი თითოეულ მოსწავლეს სთხოვს ქვემოთ მოცემული გრაფის შევსებას შემდეგი საკვანძო სიტყვების გამოყენებით **„შევქმნა“, „საკუთარი ცოდნა წარმოვაჩინო“, „გავაანალიზო“, „შევისწავლო“.**

რა იქნება კომპლექსურ დავალებაზე შენი მუშაობის შედეგი?	მე შევძლებ .....

მასწავლებელი უკუკავშირს აძლევს თითოეულ მოსწავლეს და ეხმარება შუალედური სასწავლო მიზნის უკეთ ჩამოყალიბებაში. შემდეგ კი თითოეული მოსწავლის პასუხი გადააქვს ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

შუალედური სასწავლო მიზანი 2.

თემა - აჭარა

მოსწავლის სახელი და გვარი	მოსწავლის პასუხი შეკითხვაზე - რა იქნება კომპლექსურ დავალებაზე შენი მუშაობის შედეგი?
1.	
2.	
3	

ეტაპი 2. კომპლექსური დავალების შინაარსი

ამ ეტაპზე მასწავლებელი და მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს „მოგზაურობა აჭარაში“, პარალელურ რეჟიმში კი ახორციელებენ აქტივობებს, რომელიც ბავშვებს ტექსტის შინაარსის უკეთ გააზრებასა **(აქტივობები ტექსტის დასამუშავებლად იხ დანართებში 1,2,3)** და სამიზნე ცოდნის (სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვესაკითხები) კონსტრუირებაში დაეხმარება.

ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის სამიზნე ცოდნის კონსტრუირებასთან დაკავშირებით. რეკომენდაციები დაჯგუფებული სამიზნე ცნებების მიხედვით:

- სივრცე
- მეურნეობა
- საზოგადოება
- მრავალფეროვნება
- დრო
- სახელმწიფო

თითოეულ სამიზნე ცნებასთან აღნიშნულია თემასთან „აჭარა“ დაკავშირებული რომელი საკითხები უნდა იქნას გამოყენებული სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გასააზრებლად.

სამიზნე ცნება - **სივრცე**

სამიზნე ცნება მუშავდება საკითხის - მთიანი აჭარა (ხულო, ღორჯომი, მახუნცეთის ჩანჩქერი, თაგო) საშუალებით.

აქტივობა 1. რა არის ლანდშაფტი

მასწავლებელი სვამს შეკითხვას - **რით განსხვავდებიან და რით ჰგვანან ადამიანები ერთმანეთისგან?** მახასიათებლების გამოკვეთის შემდეგ კი გადადის მთავარ საკითხზე - **გიფიქრიათ, რომ გეოგრაფიული სივრცეებიც ისე შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, როგორც ადამიანები?**

მოსწავლეებს სთხოვს ცხრილის საშუალებით გამოკვეთონ რით განსხვავდება ერთმანეთისგან - **ა) მათი მშობლიური მხარის; ბ) ჭიათურის (პირველი თემის); გ) მათთვის ცნობილი რომელიმე სხვა მხარის** ბუნება.

	მშობლიური მხარე	**ჭიათურა**	**რომელიმე სხვა მხარე**
მსგავსებები			
განსხვავებები			

მას შემდეგ რაც მოსწავლეები გამოკვეთენ მხარეებს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს მასწავლებელი იწყებს მათი ნამუშევრების ერთმანეთთან შედარებას. გამოავლენს და დაფაზე/ფლიფჩარტზე გამოიტანს ერთეულებს, რომელთა საფუძველზეც მოსწავლეებმა შედერება გააკეთეს. გამოიკვეთება შემდეგი მახასიათებლები:

- მცენარეები
- ცხოველები
- რელიეფი
- წყლები
- ნიადაგი
- ამინდი

დისკუსიის შედეგად მოსწავლეები თანხმდებიან, სამ დებულებაზე:
ა) ამა თუ იმ გეოგრაფიული სივრცეებს განსხვავებულ იერ-სახეს ზემოჩამოთვლილი ელემენტების ერთობლიობა (მცენარეები, ცხოველები, რელიეფი, წყლები, ნიადაგი, ამინდი);
ბ) ამ ფაქტორების ერთობლიობას შესაძლოა ეწოდოს **ლანდშაფტი;**
გ) მომდევნო გაკვეთილებზე საქართველოს სხვადასხვა მხარეებს ერთმანეთს ზემოთ მოცემული კრიტერიუმების საფუძველზე შეადარებენ.

აქტივობა 2. სხვადასხვა მხარის ლანდშაფტების ერთმანეთთან შედარება

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კითხულობს ტექსტის „მოგზაურობა აჭარაში“ იმ მონაკვეთს, რომელიც მთავარი პერსონაჟების მთიან აჭარაში მოგზაურობას ეხება.

იქვე უყურებინებს სიუჟეტს მთიან აჭარასთან დაკავშირებით https://www.youtube.com/watch?v=HsmO1ekCl_Y (სიუჟეტის ყურებისას თავადვე უთარგმნის მოსწავლეებს საკვანძო მონაკვეთებს).

მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ჯგუფებად და სთხოვს მთიანი აჭარა შეადარონ იმერეთს და მათთვის მშობლიურ მხარეს შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით (თუკი რომელიმე კრიტერიუმის შესახებ ინფორმაცია არ იკვეთება მათ შესაბამის უჯრაში ამის შესახებაც უნდა აღნიშნონ):

კრიტერიუმი	**მშობლიური მხარე**	**იმერეთი**	**აჭარა**
მცენარეები			
ცხოველები			
რელიეფი			
წყლები			
ნიადაგი			
ამინდი			

აქტივობა 3. მხარეების კლიმატური პირობების ერთმანეთთან შედარება
მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს სქემას, რომლის საშუალებითაც მათ პირველ თემაში ჭიათურა მათთვის მშობლიურ მხარეს შეადარეს. სთხოვს იგივე ტიპის ინფორმაცია მთიანი აჭარისა და ბათუმის შესახებ მოიპოვონ და ცხრილის შესაბამის უჯრაში ჩაწერონ.

სასურველია მოსწავლეები 4-5 ჯგუფად გაიყონ და ეს აქტივობა ასე შეასრულონ, შემდეგ კი ერთმანეთის ნაშრომები „შეამოწმონ“ და მსგავსება - განსხვავებებზე იმსჯელონ.

ჭიათურა	**შენი მშობლიური მხარე**	**მთინაი აჭარა**	**ბათუმი**
უსწორმასწორო რელიეფი			
მუქი ფერის მდინარე			
მდებარეობს ზღვის დონიდან 350 – 500 მეტრზე			
ნოტიო ჰავა			
13 გრადუსი საშუალო ტემპერატურა			
ნალექის რაოდენობა საშუალო (1100 მმ)			
13 000 - მდე მოსახლე			
176 კილომეტრია თბილისამდე			

აქტივობა 4. გეოგრაფიული შინაარსის ცნებების კლასიფიკაცია

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილი იმის მიხედვით, თუ პირველ და მეორე სვეტში მოცემული რომელი ცნებების შესახებ იყო ინფორმაცია ტექსტსა და ტელე სიუჟეტში (ცხრილი ნათარგმნი უნდა იყოს მოსწავლისთვის მშობლიურ ენაზე).

ქვეცნებები		მშობლიური მხარე	იმერეთი	აჭარა
გეოგრაფიული მოვლენა/ სტიქიური მოვლენა	წყალდიდობა			
	მეწყერი			
	მიწისძვრა			
	ზვავი			
	ღვარცოფი			
	გვალვა			
	სეტყვა			
გეოგრაფიული ობიექტი	ზღვა, ოკეანე			
	პლიაჟი			
	სრუტე			
	ყურე			
	კუნძული			
	ნახევარკუნძული			
	მდინარე			
	ხეობა			
	ტბა			
	ჭაობი			
	ჩანჩქერი			
	არხი			
	წყლსაცავი			
	მთა			
	ქედი			
	მყინვარი			
	მღვიმე			
	დაბლობი			
	ტყე			
	უდაბნო, ოაზისი			
	უღელტეხილი			
დასახლებული პუნქტი	ქალაქი			
	სოფელი			
	დაბა			
	მხარე/რეგიონი			
	ადმინისტრაციული ერთეული			

აქტივობა 5. დასახლების ტიპები

მასწავლებელი მოსწავლეებს ათვალიერებინებს მთიანი აჭარის სამოსახლოებს. სთხოვს შეადაროს მისი მშობლიურ მხარისთვის დამახასიათებელ დასახლებებს და მათი თავისებურებები დაუკავშიროს ბუნებრივ პირობებს.

მასწავლებელი მოსწავლეებს უკითხავს ტექსტს აჭარულ სახლებთან დაკავშირებით https://batumelebi.netgazeti.ge/news/10205/ მოსწავლეების ინტერესების შესაბამისად ახდენს ტექსტის ადაპტირებას.

ტექსტის წაკითხვის შემდეგ მოსწავლეებთან განიხილავს შემდეგ შეკითხვებს:

- როგორ არჩევდნენ ძველად აჭარაში სამოსახლოს?
- აქვს თუ არა აჭარულ სახლებს თვალშისაცემი გარეგანი განმასხვავებლები? (კვადრატულობა)
- საიდან მოჰქონდათ სახლისთვის საშენი მასალა? რამდენად იყო ის ხელმისაწვდომი?
- როგორი იყო სახლის დაგეგმარება? (რამდენი სართული იყო, რა ფუნქცია ჰქონდა თითოეულს)
- ახდენდა თუ არა სახლის შენება-დაგეგმარებაზე გავლენას აჭარის მოსახლეობის ყოფა> (მეურნეობის ტიპი, ბუნებრივი პირობები, ოჯახური ტრადიციები);
- როგორია სახლის გადახურვის წესი?
- რამდენად მისდევენ სახლის შენების ტრადიციულ წესს აჭარაში?

განხილვის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს მოსწავლეებს შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომლის საშუალებითაც ერთმანეთს შეადარებენ თავიანთი მშობლიური მხარისთვის დამახასიათებელ სამოსახლოს და სახლის შენების აჭარულ ტრადიციას:

კრიტერიუმი	მოსწავლისთვის მშობლიური მხარე	აჭარა
საშენი მასალა		
დაგეგმარება		
გადახურვა		
ახსენით გამოკვეთილი განსხვავებების მიზეზები: 1. 2. 3.		

აქტივობა 6. ლაშას და გიორგის მოგზაურობა რუკაზე

აჩვენეთ რუკაზე ლაშას და გიორგი მოგზაურობის მარშრუტი აჭარაში გუგლ მეფის საშუალებით: https://www.google.com/maps/place/Georgia/@39.571844,41.7213206,5.48z/data=!4m5!3m4!1s0x40440cd7e64f626b:0x4f907964122d4ac2!8m2!3d42.315407!4d43.356892

იგივე რუკაზე იპოვეთ ადგილი

- სადაც ამჯერად იმყოფებით;
- თბილისი - საქართველოს დედაქალაქი;
- გაიხსენეთ ბოლოს სად იმოგზაურეთ - რუკაზე აღნიშნეთ თქვენი მოგზაურობის მარშუტი

შენიშვნა: სასურველია ყველა მოსწავლეს ჰქონდეს ბუკი ინდივიდუალური მუშაობისთვის, თუმცა, თუკი ამის საშუალება არ იქნება შესაძლოა ეს აქტივობა ერთი ლეპტოპისა და პროექტორის საშუალებითაც განხორციელდეს.

აქტივობა 7. ლაშასა და გიორგი მოგზაურობის ამსახველი რუკის შექმნა

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს აჭარის მუნიციპალიტეტის რუკას.

სთხოვს იმსჯელონ იმის შესახებ, თუ რა სჭირდება ამ ილუსტრაციას იმისთვის, რათა რუკად გადაიქცეს. გამოკვეთს ცნებას **პირობითი ნიშანი** და **რუკის ლეგენდა** (როგორც პირობით ნიშნების ერთობლიობა). მოსწავლეების დახმარებით ჩამოთვლის რისი აღნიშნვა შეიძლება რუკაზე პირობითი ნიშნებით *(მაგალითად, მთა, მდინარე, ქალაქი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ზღვა და სხვა).* ავალებს ზემოთ მოცემული რუკის ბაზაზე შექმნან ლაშასა და გიორგი აჭარაში მოგზაურობის ამსახველი რუკა, რომელსაც შესაბამისი რუკის ლეგენდაც ექნება.

მასწავლებელი და მოსწავლეები დავალებას ერთობლივად ასრულებენ. საამისოდ ისინი ერთად კითხულობენ ლაშას და გიორგის მთიან აჭარაში მოგზაურობის ტექსტს:

- ტექსტის კითხვისას გამოკვეთენ ტიპურ გეოგრაფიულ ობიექტებს (მდინარე, მთა, ქალაქი, სოფელი, გზა, ჩანჩქერი და ა.შ. აქტიურად იყენებენ მე-4 აქტივობის ფარგლებში შევსებულ ცხრილს);
- თანხმდებიან რა ტიპის პირობითი ნიშნით აღნიშნონ თითოეული ტიპის გეოგრაფიული ობიექტი;
- კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტებს - მაგალითად, მახუნცეთის ჩანჩქერი, თაგოს საბაგირო და სხვა. წერენ მათ დასახელებებს რუკაზე შესაბამის ადგილას;
- თითოეულ კონკრეტულ ობიექტთან დაკავშირებით ვიკიპედიაში პოულობენ და ერთმანეთს უზიარებენ ერთ საინტერესო ამბავს/ინფორმაციას.

აქტივობა 8. რუკის შექმნა ნარატიული ტექსტის საფუძველზე

მასწალებელი მოსწავლეებს სთხოვს რამდენჯერმე მოუსმინონ ვიდეორგოლის 2.00 – 2.23 -მდე მონაკვეთს https://www.youtube.com/watch?v=0CXTTbMrVKg (მასწავლებელი თავად ეხმარება ტექსტის თარგმნაში) შემდეგ კი შექმნან რუკა, რომელსაც ექნება ლეგენდა და რომელზეც დატანილი იქნება ყველა ის გეოგრაფიული პუნქტი, რომელსაც გადაცემის წამყვანი ახსენებს. მოსწავლეებს სთხოვს ყურადღება მიაქციონ და ორიენტირად გამოიყენონ გადაცემაში ნახსენები ჰორიზონტის მხარეები.

შეჯამება:

სამიზნე ცნებაზე - „სივრცე“ მუშაობის პროცესს აჯამებს მსჯელობა შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას/დამუშავებლ მასალას კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- რამდენად და რატომ განსხვავდება აჭარის ბუნება და ლანდშაფტები საქართველოს სხვა მხარეებისგან? რას უნდა მიექცეს ყურადღება კომპოზიციაზე მუშაობისას?
- როგორ, რა კომპოზიციის საშუალებით შეიძლება მაკეტში აისახოს აჭარის თავისებურებები? რა ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო მთიანი აჭარის შესახებ?
- საიდან შეიძლება აჭარის ბუნებრივი პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება?

სამიზნე ცნება - მეურნეობა

სამიზნე ცნება მუშავდება საკითხის - <u>მემთეურები აჭარაში, აჭარული სამზარეულო</u> საშუალებით.

აქტივობა 1. გვიღირს თუ არა მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარება?

მასწავლებელი მასწავლეებს სთხოვს გაიხსენონ სოფლის მეურნეობის რომელიც მისთვის მშობლიურ რეგიონშია გავრცელებული. აღნიშნულ დარგთან დაკავშირებით სთხოვს შეავსონ შემდეგი ცხრილი.

სოფლის მეურნეობის დარგის დასახელება			
რა არის საჭირო დარგის ~ანვითარებისთვის?			
რა ტიპის შრომაა საჭირო?			
როგორი ბუნებრივი პირობები?			
უკავშირდება თუ არა მისი მოყვანა რაიმე რისკებს?			
ვის და რამდენად სჭირდება მოყვანილი პროდუქტი?			
რამდენი იყიდება?			
რა ფასად იყიდება?			
რამდენად ღირს (დანახარჯების, რისკებისა და მოსალოდნელი სარგებლის) **გათვალისწინებით მეურნეუობის ამ დარგის განვითარება?**			

აქტივობა 2. ინტერვიუ მემთეურებთან

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეო-რგოლს აჭარაში **მემთეურებთან** დაკავშირებით.

https://www.youtube.com/watch?v=VMbkLam_9F4&t=3s

https://www.youtube.com/watch?v=fZ075CG4lts

შეახსენებს ასევე სამიზნე ცნება „სივრცეზე“ მუშაობიას განხილულ ვიდეო-რგოლს:

https://www.youtube.com/watch?v=HsmO1ekCl_Y

მოსწავლეებს სთხოვეთ თავი წარმოიდგინონ მემთეურის ადგილას და უპასუხონ ჟურნალისტის (ჟურნალისტის როლს მასწავლებელი შეასრულებს) მიერ დასმულ შეკითხვებს:

- როგორ უნდა გავიგოთ ტერმინი „მთის სეზონი გაიხსნა“?
- რას ნიშნავს ტერმინი „მემთეურობა“?
- რატომ არის საჭირო მთიანი აჭარის მაცხოვრებლებისთვის გაზაფხულზე და ზაფხულში მთაში მიგრაცია?
- რა შრომასთანაა დაკავშირებული მემთეურობა?
- რა საფრთხეებთანაა დაკავშირებული მემთეურობა?
- რა პროდუქტები მზადდება მეცხოველეობის საშუალებით?
- დაახლოებით რა რაოდენობის პროდუქციას აწარმოებს თითოეული ოჯახი?
- რა ცვლილებას განიცდის მემთეურობა დროთა განმავლობაში?

მასწავლებლის (ჟურნალისტის) შეკითხვებს პასუხი უნდა გასცეს სამმა მოსწავლემ. შემდეგ კი თითოეული მოსწავლე ინდივიდუალურად ავსებს **აქტივობა 1-ის ფარგლებში შევსებულ ცხრილს (გვ. 12)** მემთეურებთან დაკავშირებით.

აქტოვობა 3. აჭარული სამზარეულო

მემთეური მეურნეობის მნიშვნელობის უკეთ გასააზრებლად მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შექმნან მენიუ იმ საჭმელებისთვის, რომელიც ტექსტში და მე-2 აქტივობის ფარგლებში განხილულ ვიდეორგოლებში იყო ნახსენები. მენიუს საფუძველზე კი მოაწყონ წვეულება სათაურით „აჭარული სამზარეულო“, სადაც იმსჯელებენ აჭარული კერძების თავისებურებებზე და მათი მომზადების პროცესთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.

სასურველია ეს აქტივობა მშობლებისა და მასწავლებლების ფართო ჩართულობით განხირციელდეს. ბიუჯეტი აქტივობისთვის შესაძლოა გაიღოს სკოლამ, ან ფული თავად მოსწავლეებმა შეაგროვონ.

აქტივობა 4. საერთო ელემენტების აღმოჩენა ტექსტსა და ვიდეო რგოლებს შორის.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ყურადღებით წაიკითხონ ტექსტის „მოგზაურობა აჭარაში“ ის მონაკვეთი, რომელიც ლაშასა და გიორგის მთიან აჭარაში მოგზაურობას შეეხება. ავალებს ჩაინიშნონ ის მონაკვეთები, სადაც ისეთი ინფორმაციაა მოცემული, რომელიც **აქტივობაში 2 განხილულ ვიდო-რგოლშიცაა** ასახული.

მოსწავლეებმა საკუთარი დაკვირვების შედეგები უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მოცემული ცხრილის საშუალებით.

ტექსტი	**ვიდეორგოლი**
1.	
2.	
3.	

აქტივობა 5. მეურნეობასთან დაკავშირებული ცნებების კლასიფიკაცია

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილი იმის მიხედვით, თუ პირველ და მეორე სვეტში მოცემული რომელი ცნებების შესახებ იყო ინფორმაცია ტექსტსა და ტელე სიუჟეტში (ცხრილი ნათარგმნი უნდა იყოს მოსწავლისთვის მშობლიურ ენაზე).

ქვეცნებები		მშობლიური მხარე	იმერეთი	აჭარა
სოფლის მეურნეობის დარგი	ტყის მეურნეობა			
	მეფუტკრეობა			
	მონადირეობა			
	მეთევზეობა			
	მეფრინველეობა			
	მესაქონლეობა			
	მიწათმოქმედება			
ხელოსნობისა და შინამრეწველობის დარგი	ოქრომჭედლობა			
	მჭედლობა			
	კერამიკა			
	სპილენძი			
	ხის დამუშავება *(ხის ჭურჭელი, ხის ავეჯი)*			
	ქვითხუროობა			
	მეაბრეშუმეობა			
	მებამბეობა			
	ტრადიციული მხატვრული ქსოვილები			
	მენაბდეობა			
ტურიზმი	კულტურული ტურიზმი			
	დასვენება-რელაქსაცია			
	ეკო-ტურიზმი			
	სპორტული ტურიზმი			
	აგრო-ტურიზმი			
	სათავგადასავლო ტურიზმი			
	ღვინის ტურიზმი			
მრეწველობა	მეტალურგია (შავი, ფერადი)			
	ენერგეტიკა			
	სამთო-მოპოვებითი მრეწველობა			
	მანქანათმშენებლობა			
	ქიმიური მრეწველობა			
	კვების მრეწველობა			
	მსუბუქი მრეწველობა (საფეიქრო, სამკერვალო, ტყავ-საგალანტერიო)			

შეჯამება:
სამიზნე ცნებაზე - „მეურნეობა“ მუშაობის პროცესს აჯამებს მსჯელობა შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას/დამუშავებლ მასალას კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული პირობები (ზღვასთან სიახლოვე, მთიანი ლანდშაფტი) აჭარის მოსახლეობის ყოფაზე და რეგიონის განვითარებაზე?
- როგორ, რა კომპოზიციის საშუალებით შეიძლება მაკეტში აისახოს აჭარის თავისებურებები?
- რა ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო აჭარაში გავრცელებული მეურნეობის დარგების შესახებ?
- საიდან შეიძლება აჭარის მეურნეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება?

სამიზნე ცნება - საზოგადოება

სამიზნე ცნება მუშავდება საკითხის - <u>კულტურული მრავალფეროვნება აჭარაში</u> საშუალებით.

აქტივობა 1. რომელი საზოგადოებრივი ჯგუფის წევრი ვართ?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ფურცელზე დახატონ რგოლები და თითოეულ რგოლს იმ საზოგადოებრივი ჯგუფის სახელი, რომლის წევრადაც საკუთარ თავს მიიჩნევენ.

შემდეგ კი შეავსონ რგოლები შემდეგ შეკითხვებზე პასუხების საშუალებით:

- კიდევ ვის მოიაზრებთ იგივე საზოგადოებრივი ჯგუფის წევრად? ვის აღნიშნავთ სიტყვით „ჩვენ“?
- რა საერთო ინტერესი და საზრუნავი გაერთიანებთ ამ ადამიანებთან?
- რა წესებზე ხართ სიტყვიერად, ან უსიტყვოდ შეთანხმებული ამ საზოგადოებრივი ჯგუფების წევრებთან?

აქტივობა 2. რატომ წევრიანდებიან ადამიანები ამა თუ იმ კლუბში?

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კითხულობს ტექსტის იმ მონაკვეთს, სადაც საუბარია კლუბზე, სადაც ლაშა და გიორგი გაწვრიანდნენ. განიხილვისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

- რა აერთიანეთ კლუბის წევრებს?
- რა სახელი შეიძლება დაერქვას ამ კლუბს?
- რატომ გადაწყვიტეს ლაშამ და გიორგიმ ამ კლუბში გაერთიანება?
- შეიძლება თუ არა „კლუბი“, ოჯახის, სამეგობროსა და ქვეყნის მსგავსად ერთ-ერთ საზოგადოებრივ ჯგუფად ჩავთვალოთ?
- რა ჰგავს და განსხვავდება ის ოჯახისგან, სამეგობროსგან და ქვეყნისგან?

აქტივობა 3. როგორ იქმნება საზოგადოება?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ჩამოთვალონ ნივთები/მოვლენები/მოგონებები, რომლებიც მათი ოჯახის თითოეული წევრისთვის არის ძვირფასი. სავარაუდოდ მოსწავლეების პასუხსებში გამოიკვეთება ისეთი კატეგორიები როგორებიცაა:

- მოგონებები მათ ბავშვობასთან დაკავშირებით;
- ძველი სურათები და ნივთები;
- სახლი, სადაც ცხოვრობენ;
- საოჯახო რელიქვია, რომელიც რაიმეს სიმბოლოა;
- შინაური ცხოველი, ან მცენარე;
- სასაფლაო, სადაც გარდაცვლილი წინაპრები განისვენებენ;
- რაიმეს აღნიშვნის ტრადიცია.

შემდეგ კი სვამს შეკითხვას - ***გიფიქრიათ თუ არა, რომ ასეთი ტიპის მოგონებები, რელიქვიები, ღირებულებები და ტრადიციები ყველა იმ საზოგადოებრივ ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს რომლის წევრადაც საკუთარ თავს მოიაზრებთ?***

სთხოვს საკუთარ ოჯახს, როგორც საზოგადოებრივ ჯგუფს, შეადარონ საკუთარი სამეგობრო, ქალაქი/სოფელი/მხარე, ქვეყნა ქვემოთ მოცემული ცხრილის საშუალებით.

	ოჯახი	**სამეგობრო**	**სკოლა**	**მშობლიური ქალაქი/სოფელი/მხარე**	**ქვეყანა**
ყველასთვის ფასეული მოგონებები/ ისტორიები					
თარიღები/დღეები, რომლებსაც ეს ისტორიები/მოგონებები უკავშირდება					
ყველასთვის მნიშვნელოვანი ადგილები/სივრცეები					
დღესასწაულები, რომლებსაც ყველა აღნიშნავს (რომელთა შესახებაც ყველამ იცის)					
დაწერილი და დაუწერელი ქცევის წესები, რომლებსაც ყველა უწევს ანგარიშს					

აქტივობის შემდეგ ფაზაში მასწავლებელი და მოსწავლეები განიხილავენ, თუ როგორ ყალიბდება ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით **ტრადიციები, ქცევის ნორმები და ღირებულებები.** კერძოდ, იხსენებენ ერთ-ერთ რელიგიურ დღესასწაულს, მაგალითად, ნოვრუზ-ბაირამს და აღდგომას.

განხილვისას ყურადღებას ამახვილებენ შემდეგ საკითხებზე:

- რა გადმოცემები, ისტორიები უკავშირდება ამ რელიგიურ დღესასწაულებს?
- რომელ დღეებში აღინიშნება დღესასწაული?
- რა ტრადიციებთან და რა ადგილებთან ასოცირდება მათი აღიშვნა?
- რა ქცევის წესებისა და ნორმების დაცვა არის მათთან დაკავშირებული?
- რა ღირებულებებთან ასოცირდება თითოეული ეს დღესასწაული?

ამ დღესასწაულების განხილვის უფრო ინტეერაქტიულად წარსამართად მასწავლებელი იყენებს შემდეგ ვიდეო-რგოლებს:

ნოვრუზ მაირამი https://www.youtube.com/watch?v=QHgYYrCP88c

აღდგომა (სომხური სამოციქულო ეკლესია) https://www.youtube.com/watch?v=2UchqaqQrw4

აღდგომა (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია https://www.youtube.com/watch?v=GTgnjZozCtU

აქტივობა 4. არის თუ არა ტრადიციები და ქცევის ნორმები დროში ცვალებადი?

მასწავლებელი აანონსებს სადისკუსიო საკითხს - **არის თუ არა ტრადიციები, ქცევის ნორმები დროში ცვალებადი?** დისკუსიის გასაღვივებლად მოსწავლეებს სთხოვს დროში ცვალებადობის იდეასთან კავშირში გაანალოზონ ვიდეო სიუჟეტში წარმოჩენილი ტრადიცია https://www.youtube.com/watch?v=0CXTTbMrVKg

დათვაბოყვას წარმოება (12.35 წუთიდან - 14:39 წუთამდე)

ქორწინება (25.02 წუთიდან - 26. 14 წუთამდე)

საახალწლოდ ბორანოს მომზადების ტრადიცია (28. 53 წუთიდან - 34. 18 წუთამდე)

განხილვისას ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხებზე:

- რას უპირისპირებენ ერთმანეთს მთხრობელები კონსტრუქციის „ძველად“ და „ახლა“ რეჟიმში?
- რამდენად ბუნებრივია რომ გარკვეული ტრადიციები ან მივიწყებას ეძლევა, ან „კულტურულ მემკვიდრეობას“ ითვლება?
- განსხვავდება ერთმანეთისგან ტრადიციებთან დაკავშირებული „ღირებულებები“ და „ქცევის ნორმები“. განსახვავებების გასაანალიზებლად გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

დათვაბოყვას წარმოება	
ქცევის ნორმები	**ღირებულებები**
ხის ბოქლომით სახლის დაკეტვა <u>ცვალებადობის მიზეზი:</u> - გაჩნდა ახალი ტიპის გასაღებები და ბოქლომები, რომელიც უფრო უკეთ იცავს სახლს.	ტრდიციული ხელოვნების დარგის/ინოვაციური იდეის პატივისცემა „ქვეყნის კულტურული“ მემკვიდრეობის პატივისცემა
ქორწინების ტრადიცია	
ქცევის ნორმები	**ღირებულებები**
ქორწინება გარიგებით დანიშვნა ადრეულ ასაკში მშობლების ნებით <u>ცვლილების მიზეზი:</u> - ძველი დროისგან განსხვავებით როცა ერთ დასახლებაში ერთი და იგივე გვარის ადამიანი ცხოვრობდა და ადამიანებიც იშვიათად გადაადგილდებოდნენ დღეს ახალგაზრდები გაცილებით მოძრავ ცხოვრებას ეწევიან და თავადვე ირჩევენ პარტნიორებს.	ოჯახის შექმნა ბავშვებზე ზრუნვა
საახალწლოდ ბორანოს მომზადების ტრადიცია	
ქცევის ნორმები	**ღირებულებები**
საჭმლის მომზადება ტრადიციული წესით საახალწლო მენიუ <u>ცვლილებების მიზეზი:</u> - ცვლილების მიზეზი შეიძლება გახდეს ოჯახის გადასახლება სხვა მხარეში/ქალაქში, სადაც იოლად ხელმსაწვდომი აღარ იქნება აჭარული სამზარეულოსთვის აუცილებელი პროდუქცია.	ოჯახის წევრებისთვის დასამახსოვრებელი დღის მილოცვა.

აქტივობა 5. მარადიული ღირებულებები

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს წაიკითხონ ტექსტის „მოგზაურობა აჭარაში“ ის მონაკვეთი, რომელიც ალისა და ნინოს ქანდაკებას ეხება. შემდეგ კი რესურსზე https://madloba.info/ka/blog/pro-gruziyu/history-of-georgia/ali-i-nino-realnaya-istoriya-i-vymysel/ დაყრდნობით უყვება მათი სიყვარულის ისტორიას.

მასწავლებელი და მოსწავლეები ერთად მსჯელობენ რა არის ის **მთავარი ღირებულებები,** რომლებსაც ეს მოთხრობა ეხება და რის გამოც მასთან ალისა და ნინოს ძეგლი ბათუმის ბულვარში დგას.

შენიშვნა: დისკუსიის შედეგად მთავარ ღირებულებად გამოიკვეთება „სიყვარული“ (რაც უნივერსალური ღირებულებაა ყველა ადამიანისთვის) და კულტურული მრავალფეროვნება (რაც ღირებულებაა საქართველოს ყველა მოქალაქისთვის).

აქტივობა 6. სამიზნე ცნება „საზოგადოებასთან“ დაკავშირებული

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს უყურონ ვიდეორგოლს https://www.youtube.com/watch?v=HsmO1ekCl_Y (10.23 -დან 12.38 მდე) და კონკრეტულ მაგალითებზე დაფუძნებით შეავსონ შესაბამისი უჯრები.

ქვეცნებები		აჭარა
საზოგადო მოღვაწე	ისტორიულად ცნობილი საზოგადო მოღვაწე	
	გმირები ჩვენს გარშემო	
ტრადიცია	დღესასწაული	
	ადათ-წესები	
	ქართული დიასპორები	
ღირებულებები	კულტურული მემკვიდრეობა (მატერიალური, სულიერი)	
	კულტურული მრავალფეროვნება (ენობრივი, რელიგიური, ეთნიკური)	
	ემპათია, ზრუნვა მოწყვლად ჯგუფებზე	

შეჯამება:

სამიზნე ცნებაზე - „საზოგადოება“ მუშაობის პროცესს აჯამებს მსჯელობა შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას/დამუშავებლ მასალას კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- რამდენად, რით და რატომ განსხვავდება აჭარის ყოფითი ტრადიციები საქართველოს სხვა მხარეებისგან?
- რომელ კომპოზიციაში შეიძლება აისახოს და როგორ აჭარის საზოგადოების თავისებურებები?
- რა ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო აჭარის მოსახლეობის შესახებ?
- საიდან შეიძლება აჭარის მოსახლეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება?

სამიზნე ცნება - მრავალფეროვნება

სამიზნე ცნება მუშავდება საკითხის - ხორუმი, ქართული ანბანი საშუალებით.

აქტივობა 1. ინდივიდუალობა

მასწავლებელი ფასილიტაციას უწევს „გონებრივ იერიშს“ ორ საკითხზე:

ა) რით განსხვავდებოდნენ ადამიანები ერთმანეთისგან?

აქტივობის უკეთ წარმართვისთვის მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ შემთხვევა, როდესაც ერთსა და იმავე საქმეს სხვები მისგან განსხვავებულად აკეთებენ (მაგალითად, ერთობიან სხვაგვარი თამაშით; იყენებენ სხვანაირ ხერხებს მაგალითად ფეხბურთის თამაშისას) თამაშობენ სხვანაირად იგივე თამაშს. გაანალიზოს იყოს თუ არა საინტერესო სხვა ადამიანების ინდივიდუალური მიდგომის აღმოჩენას.

ბ) რით განსხვავდება ერთმანეთისგან სოფლები, ქალაქები, მხარეები, ქვეყნები.

აქტივობის უკეთ წარმართვისთვის აყურებინებს ვიდეორგოლს, სადაც მოსწავლეები მეზობელი რაიონების ხულოსა და ქედას შორის განსხვავებების https://www.youtube.com/watch?v=O0t7F2Tt8pc

აქტივობა 2. აჭარული ფოლკლორი

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ცეკვას ხორუმი:

https://www.google.com/search?q=%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98&rlz=1C1GCEU_enGE962GE962&oq=%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98&aqs=chrome..69i57j0i30l9.2163j0j15&sourceid=chrome&ie=UTF-8#fpstate=ive&vld=cid:92d4e861,vid:2ScNh2vrHuQ

ცეკვას აჭარული:

https://www.youtube.com/watch?v=bgTqagbB660

სთხოვს გამოკვეთონ ერთი მხრივ მათ შორის განსხვავებები (თემატიკა, რიტმი), მეორე მხრივ კი მსგავსებები (რითაც ეს ცეკვები სხვა ცეკვებისგან განსხვავდებიან). შედარებისთვის მოსწავლეები გამოიყენებენ ქვემო მოცემულ ცხრილს.

	მსგავსება	**განსხვავება**
რას ასახავს		
ცეკვის ილეთები		
რიტმი		
კოსტიუმი		
მონაწილეები		

მოცემულ რესურსზე დაყრდნობით https://solis.ge/news/acharuli-tsekva მასწავლებელი ატარებს მინი ლექციას „ხორუმისა“ და „აჭარულის“ შესახებ.

აქტივობა 3. აჭარის თავისებურებები

მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ჯგუფებად და ავალებს შექმნან პლაკატი აჭარის თავისებურებების წარმოსაჩენად. მოსწავლეები განვლილ მასალაზე დაფუძნებით ქმნიან საკუთარ კომპოზიციას.

აქტივობა 4. მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ცნებების კლასიფიკაცია

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ცხრილში შესაბამის ადგილას ჩაწერონ ცნებები, რომლის შესახებაც თემაზე „აჭარა“ და „იმერეთი“ მუშაობის პროცესში გაიგეს.

ქვეცნებები		მშობლიური მხარე	იმერეთი	აჭარა
მატერიალური კულტურა:	დასახლება და დასახლების სტრუქტურა			
	საზოგადოებრივ-საკულტო ნაგებობები			
	გზები და ხიდები;			
	ხალხური სატრანსპორტო საშუალებებები;			
	ზღვაოსნობა;			
	ტრადიციული სამოსი			
	ქართული საჭურველი;			
	კვების ხალხური სისტემა;			
ოჯახი და საოჯახო ყოფა:	ნათესაობის სისტემა;			
	საქორწინო წეს-ჩვეულებები;			
	ბავშვის აღზრდის ხალხური ტრადიციები;			
	დაკრძალვა, გლოვის წესები და მემორიალური კულტურა.			
საზოგადოებრივი ყოფა	ტერიტორიული თემი;			
	შრომითი ურთიერთდახმარების ფორმები *(მაგალითად, ნადი, მოდგამი);*			
	ტრადიციული ქართული სუფრა;			
	ვაჭრობა და საბაზრო ურითერთობა საქართველოში;			
	ხალხური სამართალი			
წერილობითი კულტურა	ქართული ენა და დამწერლობა			
	ქართული ხელნაწერები			
	ეპიგრაფიკული ძეგლები			
	ქართული საგანმანათლებლო და საღვთისმეტყველო-ლიტერატურული ცენტრები;			
პროფესიული კულტურა	ქართული ლიტერატურა;			
	სახვითი ხელოვნება;			
	ქართული თეატრი;			
	ქართული კინო.			
სულიერი კულტურა	მითი და რიტუალი;			
	ქართული ხალხური დღესასწაულები;			
	ქართული ფოლკლორი;			
	ქართული ხალხური მუსიკა			
	ქართული ქორეოგრაფია			
	ტრადიციული ქართული სამედიცინო კულტურა;			
	ხალხური ჰიგიენური კულტურა;			
	საბავშვო გასართობი და სპორტული თამაშობანი			

აქტივობა 5. ქართული ანბანის ისტორია

მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს, რომ თემაზე „აჭარა' მუშაობის პროცესში ისინი არა მხოლოდ აჭარის, არამედ მთლიანად საქართველოს კულტურისა და ისტორიის შესახებ იღებენ ინფორმაციას.

მათთან ერთად კითხულობს ტექსტის „მოგზაურობა აჭარაში" იმ მონაკვეთს, სადაც ბათუმის ბულვარია აღწერილი. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს **ანბანის კოშკზე.** ააქტიურებს შეკითხვას - **რატომ დგას ბათუმის ბულვარში ანბანის კოშკი?**

შეკითხვის განსახილველად მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმსჯელონ შემდეგ საკითხებზე:

- რა განსხვავებაა ენასა და ანბანს შორის?
- ქართულის გარდა კიდევ რომელი ანბანი არსებობს (ლათინური, სომხური, კირილიცა და სხვა);
- რა განსხვავებაა ანბანსა და დამწერლობას შორის? შეიძლება თუ არა გარდა ანბანურისა, სადაც თითო ნიშანი თითო ასოს გამოხატავს, სხვა ტიპის დამწერლობაც არსებობდეს?

ამ შეკითხვის გასააზრებლად მოსწავლეები განმარტავენ შემდეგ სიტყვებს **„ასო", „სიტყვა" „მარცვალი", „წინადადება".** მასწავლებელი ხაზს უსვამს, რომ ანბანი არის დამწერლობა, სადაც თითო ნიშანი თითო ასოს შეესაბამება, თუმცა, ისტორიულად არსებობდა უძველესი დამწერლობები, სადაც ერთი ნიშანი ერთ მარცვალს (ლურსმული დამწერლობა), ან ერთ სიტვა/წინადადებას შეესაბამებოდა (ეგვიპრური იეროგლიფური დამწერლობა.

- რატომ შეიძლებოდა ადამიანს შეექმნა დამწერლობა?
- რომელი დამწერლობა უფრო მოსახერხებელია, იეროგლიფური, ლურსმული თუ ანბანური?

მასწავლებელი მოსწავლეებს აყურებინებს https://www.youtube.com/watch?v=c5dPS2fYK8c აჩვენებს ილუსტრაციას და სთხოვს შეადარონ ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული დამწერლობა ერთმანეთს გარეგანი მახასიათებლების მიხედვით. უხსნის რომ სამივე ანბანი ქართული ენისთვის არის შექმნილი, თუმცა, სამივე სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში გამოიყენებოდა.

მოსწავლეებს დავალებად ეძლევათ შექმნან პლაკატი, სადაც მხედრულად, ნუსხა-ხუცურად და ასომთავრულად დაწერენ საკუთარ სახელს და გვარს.

შეჯამება:

სამიზნე ცნებაზე - „მრავალფეროვნება“ მუშაობის პროცესს აჯამებს მსჯელობა შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას/დამუშავებლ მასალას კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- რამდენად, რით და რატომ განსხვავდება აჭარის ყოფითი ტრადიციები საქართველოს სხვა მხარეებისგან?
- რომელ კომპოზიციაში შეიძლება აისახოს და როგორ აჭარის საზოგადოების თავისებურებები?
- რა ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო აჭარის მოსახლეობის შესახებ?
- საიდან შეიძლება აჭარის მოსახლეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება?

სამიზნე ცნება - **დრო**

მუშავდება საკითხები - **გონიოს ციხე, თამარის ხიდი, ხუთგუმბათიანი მეჩეთი ღორჯომში, სხალთის მონასტერი** საშუალებით.

აქტივობა 1. რატომ და როგორ ყალიბდება კულტურა/კულტურული მრავალფეროვნება

მასწავლებელი სვამს საკითხს რა არის მრავალფეროვნეის ჩამოყალიბების მიზეზი. თავადვე გამოკვეთს რამდენიმე ფაქტორს:

ა) **სივრცე, გეოგრაფიული გარემო** - სთხოვს კიდევ ერთხელ გააანალიზონ გეოგრაფიული ფაქტორის ზეგავლენა აჭარის მოსახლეობის ყოფაზე.

ბ) **დრო, ისტორია** - სთხოვს გამოთქვან ვარაუდი რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ისტორიამ ამა თუ იმ მხარის ყოფითი თავისებურებების ჩამოყალიბებაში.

აქტივობა 2. რა არის ისტორია? ისტორიული ბუნების ნარატივის სტრუქტურა

მასწავლებელი ერთ-ერთ მოსწავლეს სთხოვს მაქსიმალურად დეტალურად მოყვეს საკუთარი ბიოგრაფია. ამის შემდეგ მოსწავლეებს ჰყოფს ჯგუფებად და ავალებს გამოკვეთონ მის მონაყოლში **სხვადასხვა პერიოდები.** დიდი ალბათობით მთხრობელის ბიოგრაფიაში გამოიკვეთება:

- ადრეული ბავშვობა
- საბავშვო ბაღში სიარულის პერიოდი;
- I კლასი, II კლასი და სხვა, ან 1-4 კლასებში სწავლის პერიოდი;
- შესაძლოა ასევე გამოიკვეთოს პერიოდი, როცა მოსწავლე რომელიღაც სხვა ქალაქში ცხოვრობდა, ან სხვა სკოლაში სწავლობდა.

სხვადასხვა ჯგუფები წარმოადგენენ და ერთმანეთს ადარებენ „პერიოდიზაციის საკუთარ სისტემას“. გამოკვეთენ, რომ მთხრობელის ბიოგრაფია ჯგუფებმა სხვადასხვა ნიშნით დაყვეს:

ა) სკოლაში კლასების მიხედვით;

ბ) ასაკის მიხედვით (ბავშვობა, საბავშო ბაღის, სკოლის პერიოდი) და სხვა.

მიდიან დასკვნამდე რომ წარსული პირობითად ყოველთვის შეიძლება დაიყოს პერიოდებად სხვადასხვა ნიშნით (როგორც ეს მათი თანაკლასელის ბიოგრაფიის შემთხვევაში მოხერხდა).

აქტივობის შემდეგ ეტაპზე მასწავლებელი ჯგუფებს ავალებს კიდევ ერთხელ გაიხსონონ მოსწავლის ბიოგრაფია და გამოყონ იქ **კონკრეტული მოვლენები.** დიდი ალბათობით მთხრობელის ბიოგრაფიაში გამოიკვეთება ისეთი ფაქტები, როგორებიცაა:

- სკოლაში შესვლა;
- საბავშვო ბაღის დასრულება;
- ერთი ქალაქიდან მეორეში გადასახლება და სხვა.

ჯგუფები წარადგენენ და ერთმანეთს ადარებენ საკუთარ ნამუშევრებს. მიდიან დასკვნამდე რომ წარსულის შესახებ საუბრისას ყოველთვის იკვეთება კონკრეტული ფაქტები და მოვლენები, როგორც ეს თანაკლასელის ბიოგრაფიის შემთხვევაში მოხდა.

აქტივობა 3. ისტორიული ნარატივის გარჩევა

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ყურასღებით მოუსმინონ ვიდეო-რგოლის **მონაკვეთს 0.22 წამიდან - 2.05 წუთამდე** https://www.youtube.com/watch?v=fZ075CG4lts მოსმენილის საფუძველზე კი შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილი.

შეკითხვა	**მოსწავლის პასუხი**
რა **ფაქტები და მოვლენები** გამოიკვეთა ომერ ამაღლობელის ნაამბობში	
წარსულის **რა პერიოდები** გამოიკვეთა ომერ ამაღლობელის ნაამბობში	

ცხრილების შევსებისა და პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მთხობელის შემდეგ სიტყვებზე **„კომინისტების დროს“ (პერიოდი)** და **„იშლება მთები, ცარიელდება ჩვენი ნაოფლარი“ (მოვლენა).** მოსწავლეებს სთხოვს ოჯახის წევრებისა და მეზობლების გამოკითხვის შედეგად მოაგროვონ ინფორმაცია **კომუნისტურ/საბჭოთა პერიოდთან** და მთის/სოფლის დაცარიელებასთან დაკავშირებით.

აქტივობა 4. ბათუმის ბულვარის ისტორია

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კითხულობს ტექსტის „მოგზაურობა აჭარაში“ ის მონაკვეთი, რომელიც ბათუმის ბულვარის ისტორიას ეხება. მოსწავლეებს ჰყოფს ჯგუფებად. ჯგუფებს დავალებად ეძლევათ ტექსტის საფუძველზე შეავსონ ქვემოთ მოცემული ცხრილი. გამოკვეთონ და პირველ სვეტში ჩაწერონ ბათუმის ბულვარის ისტორიასთან დაკავშირებული ძირითადი ისტორიული მოვლენების დასახელება დანარჩენ სვეტებში კი ამ მოვლენების მახასიათებლები.

ისტორიული მოვლენა	**ვინ მონაწილეობდა ?** პიროვნებები	**რა კონკრეტული ფაქტები უკავშირდება ისტორიულ მოვლენას** ფაქტები	**როდის მოხდა ეს ისტორიული მოვლენა** პერიოდი თარიღები	**რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ისტორიულ მოვლენას ბათუმის ბულვარის ისტორიისთვის?** შედეგი მნიშვნელობა
1				
2				
3				
4				
5				

აქტივობა 5. რა საერთოა თაგოს საბაგიროსა და თამარის ხიდს შორის?

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად კითხულობს ტექსტის იმ მონაკვეთს, რომელიც აჭარის ორი ღირსშესანიშაობას **თაგოს საბაგიროსა და მახუცნეთის ხიდს** შეეხება. სთავაზობს ვიდეო-რგოლს თითოეულ მათგანთან დაკავშირებით:

თაგოს საბაგირო https://batumelebi.netgazeti.ge/adjara/12988/

მახუცნეთის ხიდი https://www.youtube.com/watch?v=et8ypxUCvBE

მასწავლებელი სვამს შეკითხვას - **რატომ არის აშენებული თითოეული მათგანი?** მოსწავლეები ტექსტსა და ვიდეო-რგოელზე დაფუძნებით მსჯელობენ დასმულ შეკითხვაზე. მსჯელობისას მასწავლებელი მათ ეხმარება იმის გააზრებაში, თუ რატომ არის მთაში კომუნიკაციები განსაკუთრებით პრობლემური საკითხი.

აქტივობა 6. დროის ხაზი

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს და მათთან ერთად განიხილავს სამ ვიდეო-რგოლს:

- სოფელ ღორჯომის ისტორიასთან დაკავშირებით https://www.youtube.com/watch?v=0CXTTbMrVKg (4. 35 წუთიდან – 12. 27 წუთამდე);
- სხალთის მონასტერთან დაკავშირებით https://www.youtube.com/watch?v=dU_VJRwuJyM
- ხორჯომის ხეობაში ხუთგუმბათიანი მეჩეთის შესახებ https://www.youtube.com/watch?v=HsmO1ekCl_Y (10. 24 - 12:35)
- გონის ციხე https://www.airgeo.org/ka/regions/adjara/gonio-stronghold/

გონიოს ციხესთან დაკავშირებით მოსწავლეებს ასევე სთავაზობს მინი-ლექციას შემდეგ რესურსზე დაფუძნებით:
https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A1_%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94

პარალელურად თავადაც უყვება აჭარის ისტორიას, სადაც გამოკვეთს შემდეგ ფაქტებს:

- კურორტ ბეშუმთან ნაპოვნია **ქვის ხანის** ნასახლარები;
- მდინარე ჭორიხის აუზში ნაპოვნია **ბრინჯაოს ხანის** ძეგლები;
- **ლეგენდარულმა** მეფე აიეტმა დააარსა გონიო/აფსაროსი დაღუპული შვილის საპატივცემულოდ;
- აჭარაში საქართველოში ყველაზე ადრე გავრცელდა **ქრისტიანობა.** ქრისტიანობა აქ იქადაგა ანდრია პირველწოდებულმა;
- **შუა საუკუნეების** აჭარაში კარგად იყო განვითარებული არქიტექტურა, მწერლობა, წიგნების გადაწერა, ხისა და ტყავის დამუშავება;
- XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში აჭარა ოსმალეთის იმპერიაში შედიოდა;
- 1878 წელს აჭარა დაბრუნდა საქართველოს შემადგენლობაში;
- 1921 წელს აჭარა გამოცხადდა ავტონომიურ რესპუბლიკად.

ვიდეო-რგოლების განხილვის პროცესში მოსწავლეებს ამოცანად აქვთ ჩაინიშნონ მოვლენები, რომლებიც განხილვის პროცესში განსაკუთრებით დაამახსოვრათ. აქტივობის მეორე ფაზაში მათ ეს მოვლენები დროის ხაზზე უნდა განალაგონ (ჯერ ინდივიდუალური, შემდეგ კი ჯგუფური მუშაობის პროცესში).

დროის ხაზი

აქტივობა 7. ისტორიული შინაარსის ცნებების კლასიფიკაცია

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს ცხრილში შესაბამის ადგილას ჩაწერონ ცნებები, რომლის შესახებაც თემაზე „აჭარა“ მუშაობის პროცესში გაიგეს.

ქვეცნებები		მშობლიური მხარე	იმერეთი	აჭარა
ისტორიული ეპიზოდი	ბრძოლა			
	მეფის/ცნობილი პიროვნების მოღვაწეობა			
	რეფორმა			
	აჯანყება			
	აღმშენებლობა			
ზეპირი ტრადიცია	მითი			
	თქმულება			
	ლეგენდა			
ისტორიული პერიოდი (პერიოდიზაცია)	მეფეების მმართველობის პერიოდის მიხედვით			
	ძველად არსებული სახელმწიფოების მიხედვით			
	მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიხედვით			

შეჯამება:

სამიზნე ცნებაზე - „დრო“ მუშაობის პროცესს აჯამებს მსჯელობა შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას/დამუშავებლ მასალას კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- რამდენად, რით და რატომ განსხვავდება აჭარის ყოფითი ტრადიციები საქართველოს სხვა მხარეებისგან?
- რომელ კომპოზიციაში შეიძლება აისახოს აჭარის ისტორია?
- რა ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო აჭარის ისტორიის შესახებ?
- საიდან შეიძლება აჭარის ისტორიის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება?

სამიზნე ცნება - სახელმწიფო

მუშავდება საკითხის - <u>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა</u> საშუალებით

აქტივობა 1. რა არის ინსტიტუცია

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმსჯელონ რა აქვს საერთო შემდეგ დაწესებულებებს:

საავადმყოფო	პოლიცია	სკოლა	სუპერმარკეტების ქსელი	ქალაქის მერია

მიანიშნებს მოსწავლეებს, რომ თითოეული ეს დაწესებულება იმაზე ეფექტურად ზრუნავს ჩვენს საჭიროებებზე ვიდრე ამას თავად შევძლებდით. სთხოვს მოსწავლეებს ჩამოთვალონ თითეული ზემოჩამოთვლილი მათგანის ფუნქცია.

სთავაზობს მოსწავლეებს ამ დაწესებულებებს უწოდონ **ინსტიტუციები,** სახელმწიფო კი განიხილონ **ინსტიტუციების ერთობად.**

აქტივობა 2. რა ფუნქციები აქვს სახელმწიფოს

აქტოვობის მეორე ფაზაში პედაგოგი ფასილიტაციას უწევს გონებრივ იერიშს თემაზე - *როგორ/რა ფორმით მონაწილეობს სახელმწიფო ჩვენს ცხოვრებაში?* აქტივობის შედეგად შეიქმნება სახელმწიფოს ფუნქციების პირველადი ჩამონათვალი.

შემდეგ კი სთხოვს მოსწავლეებს ქვემოთ მოცემული ცხრილის შევსებას და იმის წარმოჩენას, თუ რა იცის მოცემულ საკითხებზე.

ქცევები		მოსწავლის პასუხი
სახელმწიფოს ფუნქციონიერება	სახელმწიფო მოწყობა	
	პრინციპები	
	ინსტიტუტები და სახელმწიფოს ვალდებულებები	
ადამიანის ფუნდამენტური უფლებები	შშმ პირები	
	განათლების უფლებები	
	კოლექტიური უფლებები (მაგალითად, გარემოს დაცვა, უკანონო მშენებლობლობები)	

სოციალური პრობლემები	უკანონო მშენებლობები /დასახლებული პუნქტის არქიტექტურული იერსახის დამახინჯება	
	მიგრაცია *(შიდა და გარე- მაგალითად, ეკომიგრანტები და შრომითი მიგრანტები)*	
	მთის კანონი;	
	შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართავობა	
	წყალმომარაგების პრობლემა	
	ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა.	
	სახელმწიფო ენის ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მხარეებში	

აქტივობა 3. რა არის კანონი?

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ სახელმწიფო მოსახლეობას **კანონის ენაზე** ელაპარაკება. კერძოდ, ქმნის კანონებს, რომლებიც ხელს უწყობს ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრას.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ ა) რაიმე არაფორმალური შეთანხმება, რომელიც მასსა და მის მეგობრებს შორის არსებობს; ბ) ყოფაში დამკვიდრებული დაუწერელი წესი; გ) კანონი. სთხოვს პასუხები ჩაწეროს ქვემოთ მოცემულ ცხრილში. აქტივობის გასაადვილებლად მოსწავლეებს თავად სთავაზობს ერთ-ერთ მაგალითს.

ზეპირი შეთახმება მეგობრებს შორის	**დაუწერელი წესი**	**კანონი**
დათქმულ შეხვედრაზე არ არის პრობლემა მცირეოდენი დაგვიანება	მოხუცებს პატივი უნდა ვცეთ	ღვედის გარეშე მანქანაში ჯდომა ისჯება კანონით

სთხოვს იმსჯელონ მათ შორის არსებულ განსხვავებებზე შემდეგი ნიშნით:

- არის თუ არა დაწერილი;
- ისჯება თუ არა მისი დარღვევა / რა ფორმით „ისჯება“

შემდეგ კი სვამს სადისკუსიო შეკითხვას - **რატომ არის საჭირო კანონი, თუკი რაღაცეებზე ზეპირადაც შეიძლება შეთანხმება?**

აქტივობა 4. კანონი ტაბუ, თუ შესაძლებლობა?

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს იმსჯელონ შემდეგ საკითხზე- **გარდა აკრძალვისა და ვალდებულებისა შესაძლებელია თუ არა კანონი პრობლემის გადასაჭრელად?**

<u>ქეისის ანალიზი:</u>

მოსწავლეებთან ერთად კითხულობს ტექსტის „მოგზაურობა აჭარაში“ იმ მონაკვეთს, რომელიც დელფინარიუმსა და ცხოველებისადმი მოპყრობის პრობლემას შეეხება.

სთხოვს მათ გაიყონ სამ ჯგუფად და დისკუსიას საკითხზე *<u>უნდა აიკრძალოს თუ არა დელფინარიუმის ფუნქციონირება?</u>* მოსწავლეების ერთი ჯგუფი დადებით პასუხს დაიცავს, მეორე - უარყოფითს, მესამე კი „ნაფიცი მსაჯულის“ როლს მოირგებს და რომელიმე ერთ მხარეს მიაკუთვნებს გამარჯვებას. მესამე ჯგუფის ვერდიქტზე იქნება დამოკიდებული შეიტანს თუ არა კლასი განცხადებას პარლამენტში თხოვნით „აიკრძალოს დელფინარიუმი, როგორც ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის ერთ-ერთი ფორმა“.

დებატებს მოსდევს განზოგადებული მსჯელობა იმის შესახებ, რომ მოქალაქეებს შეუძლიათ პარლამენტს კანონების ინიცირება, რომლითაც მათთვის მნიშვნელოვან იდეებს დაუჭერენ მხარს (როგორც ეს დელფინების დაცვის შემთხვევაში შეიძლება მომხდარიყო).

აქტივობა 5. სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკა

მასწავლებელი სვამს შეკითხვას - ვის შეიძლება მივმართოთ სასურველი კანონის ინიცირებისთვის? ვის აქვს კანონის მიღების უფლება. წარმოუდგენს ილუსტრაციას, სადაც სწორი პასუხია მინიშნებული.

საქართველოს პარლამენტი

მასწავლებელი აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტი საქართველოს ყველა მხარისთვის განსაზღვრავს კანონებს, თუმცა, აჭარა არის ავტონომიურ რესპუბლიკა, რომელსაც (სხვა მხარეებისგან განსხვავებით):

- ჰყავს უზენაესი საბჭო;
- აქვს კანონების ინიცირების უფლება (საქართველოს პარლამენტის მსგავსად);
- აქვს საკუთარი სიმბოლიკა (დროშა, გერბი, ჰიმნი)

აქტივობა 6. რა არის სიმბოლოკა (დროშა გერბი და ჰიმნი)

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს შექმნან გერბი, დროშა და ჰიმნი იმ კლუბისთვის, რომლის წევრებიც ლაშა და გიორგი გახდნენ. სთხოვს ეს სიმბოლიკა დაუკავშირონ კლუბის იდეას.

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ჰყოფს ჯგუფებად და სთხოვს აჭარისთვის შექმნას **დროშა, გერბი** და **ჰიმნი**, რომელთა საშუალებითაც მაქსიმალურად წარმოაჩენენ საქართველოს ამ მხარის მრავალფეროვნებასა და თავისებურებებს.

აქტივობა 7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

მასწავლებელი მოსწავლეებს ეუბნება, რომ აჭარას, საქართველოს სხვა მხარეებისგან (მაგალითად, იმერეთისა და ქართლისგან) მართლაც აქვს გერბი, დროშა და ჰიმნი. წარმოუდგენს აჭარის დროშას გერბს, საქართველოს დროშასთან და ჰიმნთან ერთად. სთხოვს გამოთქვან ვარაუდი იმასთან დაკავშირებით თუ რატომ აქვს საქართველოს სახელმწიფოში აჭარას განსაკუთრებული სტატუსი ?

ვარაუდების გამოთქმაში დასახმარებლად მოსწავლეებს სთავაზობს რამდენიმე სავარაუდო პასუხს:

ა) აჭარის გეოგრაფიული პირობების გამო;

ბ) აჭარის ისტორიის განსაკუთრებულობის გამო;

გ) ბათუმის პორტის ეკონომიკური მნიშვნელობის გამო;

დ) აჭარაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლის გამო

განხილვისას მასწავლებელი მიანიშნებს, რომ სწორი პასუხი არის ბ) და მათთან ერთად მსჯელობს უკვე ნასწავლ ისტორიულ ფაქტებზე, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკაში აჭარის განსაკუთრებული სტატუსი განაპირობეს.

შეჯამება:

სამიზნე ცნებაზე - „სახელმწიფო“ მუშაობის პროცესს აჯამებს მსჯელობა შემდეგ შეკითხვებზე:

- როგორ გამოიყენებთ შეძენილ ცოდნას/დამუშავებლ მასალას კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- როგორ ზრუნავს სახელმწიფო რეგიონის განვითარებაზე/რეგიონში არსებული პრობლემების გადაჭრაზე?
- რა ვიცოდი, გავიგე, მინდა გავიგო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ?
- საიდან შეიძლება დამატებითი ინფორმაციის მიღება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოწყობის შესახებ?

ენობრივი ნაწილი

I. ტექსტი - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთს დასაწყისიდან „ანბანის კოშკამდე“ (გვ. 1-5)

ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება

1. ვინ დახვდა ლაშას და გიორგის ოჯახს მახინჯაურის რკინიგზის სადგურში?
2. ვისთან ერთად დაგეგმეს ლაშამ და გიორგიმ აჭარაში მოგზაურობა?
3. რა ლეგენდები არსებობს აჭარულ ხაჭაპურთან დაკავშირებით?
4. შემოხაზე, სწორია თუ არასწორი.
   - ✓ ბათუმის ბულვარის გაშენებაზე მუშაობდნენ გერმანელი რესლერი, ფრანგი მიხეილ დალფონსი და ქართველი იასონ გორდეზიანი.
     ა) სწორია ბ) არასწორია
   - ✓ ბათუმის ბულვარში პირველად მაგნოლიები გააშენეს.
     ა) სწორია ბ) არასწორია
   - ✓ ბათუმის ბულვარში დგას იასონ გორდეზიანის ქანდაკება.
     ა) სწორია ბ) არასწორია

II. ტექსტი - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთს „ანბანის კოშკი“ (გვ. 6-8)

ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება

1. აღწერე, როგორია ანბანის კოშკი მოცემული ინფორმაციისა და ფოტოს საფუძველზე. კოშკის აღსაწერად გამოიყენე ქვემოთ მოცემული სიტყვები და თქვი:

- ✓ სად მდებარეობს ანბანის კოშკი;
- ✓ რა ნაგებობაა კოშკისგან მარცხნივ;
- ✓ როგორია კოშკის სიმაღლე;
- ✓ როგორია კოშკი გარეგნულად;
- ✓ რა წერია კოშკზე;
- ✓ რა არის მოწყობილი ანბანის კოშკის ბოლო ორ სართულზე.

სიტყვები: 130 მეტრი მრგვალი ბათუმის ბულვარში რესტორანი კარუსელი ობსერვატორია ქართული ასოები

2. შეავსე ცხრილი - პირველ სვეტში მოცემულ თითოეულ სიტყვას მიუწერე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა.

სიტყვა	მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა
ორენოვნება	
მონუმენტური	

პროვინცია	
მრავალფეროვანი	

3. ბათუმის გარდა, კიდევ სად არის სფეროსებრი რესტორანი?

4. რომელ ენებს აქვთ სახელმწიფო ენის სტატუსი კანადაში?

5. რომელმა მწერალმა დაწერა წიგნი აზერბაიჯანელი ალისა და ქართველი ნინოს სიყვარულზე?

6. მიუთითე, რა თანამიმდევრობით შეასრულეს სამუშაოები გეოგრაფიის პროექტისთვის ლაშას და გიორგის კლასელებმა. იხელმძღვანელე ნიმუშით და ცარიელ რგოლებში ჩაწერე შესაბამისი ციფრი.

1. გაინაწილეს კონტინენტები

- შეადარეს ახალი წლის ტრადიციები სხვადასხვა ქვეყანაში;
- გამოკითხეს კლასელების მშობლები და ნაცნობები;
- წაიკითხეს უამრავი საინტერესო ინფორმაცია.

7. გაიხსენე შენს კლასში განხორციელებული ერთი საინტერესო პროექტი და ისაუბრე: რომელ საგანში მოამზადეთ ეს პროექტი; რა ერქვა პროექტს, რა სამუშაოები შეასრულეთ.

III. ტექსტი - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთს „დელფინარიუმი“ (გვ. 8-11)

ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება

1. რატომ არ შეიძლება შუადღისას პლაჟზე ყოფნა?

2. შემოხაზე, სწორია თუ არასწორი.

- ✓ ბათუმში დელფინარიუმი ცოტა ხნის წინ ააშენეს.

  ა) სწორია ბ) არასწორია

- ✓ დელფინები ერთმანეთს სტვენით ელაპარაკებიან.
  ა) სწორია ბ) არასწორია
- ✓ ყველა დელფინს აქვს თავისი სახელი.
  ა) სწორია ბ) არასწორია
- ✓ დელფინები ძალიან ჭკვიანი ცხოველები არიან.
  ა) სწორია ბ) არასწორია
- ✓ დელფინები ზვიგენებს ვერ ეწინააღმდეგებიან.
  ა) სწორია ბ) არასწორია

3. რატომ არის აკრძალული ზოგიერთ ქვეყანაში ცოხველების საცირკო შოუები?
4. არის თუ არა დაცული ბათუმის დელფინარიუმში საერთაშორის სტანდარტები?
5. სად და როდის დააწესეს ცხოველების დაცვის დღე?
6. გადაიკითხე ინფორმაცია კონგრესის შესახებ და მიუთითე, რომელ აბზაცშია საუბარი:
ა) სიტყვა „კონგრესის“ წარმოშობაზე;

_____

ბ) სიტყვა „კონგრესის“ მნიშვნელობაზე;

_____

გ) ქვეყნებზე, სადაც ჰყავთ კონგრესიც და პრეზიდენტიც;

_____

გ) ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესზე.

_____

6. წაიკითხე ქვემოთ მოცემული მენიუ და მიუთითე, რა ეწოდება ადამიანს, რომელიც მხოლოდ ამ პროდუქტებით იკვებება.

მენიუ თაფლი, რძის პროდუქტი, კვერცხი, მცენარეული საკვები

ა) ვეგეტარიანელი ბ) ვეგანი

7. როდის შეუერთდა საქართველო ცხოველთა უფლებების დაცვის მოძრაობას?

IV. ტექსტი - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთს „რვაფეხა“ (გვ. 11- 14)

ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება

1. რა ეწოდება საბრძოლო შინაარსის აჭარულ ცეკვას?

2. დაასახელე აჭარული დესერტები.

3. რომელ აჭარულ კერძს ამზადებენ ისრიმის წვენით?

3. ვინ არიან მემთეურები?

4. ვისთან ერთად მიდიან ლაშა და გიორგი მთიან აჭარაში?

V. ტექსტი - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთს „გონიოს ციხე“ (გვ. 14-17)

ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება

1. როდის აშენდა გონიოს ციხე?

2. რა მნიშვნელობა ჰქონდა გონიოს ციხეს საქართველოსთვის?

3. აღწერე, როგორია გონიოს ციხე. ამისთვის ისაუბრე:

ა) ბათუმიდან რა მანძილზე მდებარეობს გონოს ციხე;

ბ) რამდენი მეტრი სიმაღლისაა ციხის გალავანი და კოშკები;

გ) რა ნაგებობებია აღმოჩენილი გონიოს ციხის კომპლექსში;

დ) რომელი ქვეყნების კვალია შემორჩენილი გონიოს ციხეში.

4. რატომ ეძახდნენ გონიოს ციხე აფსაროსის ციხეს?

5. მეცნიერების აზრით, ვინ იყვნენ მახუნცეთის ხიდის მშენებლები?

VI. ტექსტი - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის მონაკვეთს „თაგო“ (გვ. 17-18)

ენობრივი კომპონენტი: ტექსტის გაგება-გააზრება, ენობრივი კომპეტენციის განვითარება

1. გივის მონაყოლზე დაყრდნობით, უპასუხე ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს - ამოიწერე ტექსტიდან შესაბამისი წინადადებები.

ა) რა არის ნადი?

_____

ბ) თავისი ნებით მუშაობენ ადამიანები ნადში თუ იძულებით?

_____

გ) ვინ მონაწილეობდა თავიდან ნადში, ვინ ჩაერთო მოგვიანებით?

_____

_____

დ) რა საქმიანობებში ეხმარებიან ნადის მონაწილეები ერთმანეთს?

_____

2. არის თუ არა შენს თემში ნადის მსგავსი ტრადიცია, როდესაც ადამიანები საკუთარი ნებით ეხმარებიან ერთმანეთს? შეგიძლია დააზუსტო უფროსებთან.

3. სად აპირებენ ბიჭები გამგზავრებას აჭარის შემდეგ?

4. მიუთითე, აჭარაში ყოფნის დროს რა რის მერე მოინახულეს ლაშამ და გიორგიმ - ცარიელ რგოლებში ჩაწერე შესაბამისი ციფრი.

- თაგოს ციხე;
- მიხეილ დალფონსის ქანდაკება;
- ალის და ნინოს ქანდაკება;

- ანბანის კოშკი;
- გონიოს ციხე;
- დელფინარიუმი.